გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 7

2023 წლის 10 თებერვალი
ქ.გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 62-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

62	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	2	1331

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 63^1-ე გრაფა შემდეგი რედაქციით:

63^1	IV რანგი	III კატეგორიის უმცროსი	უმცროსი სპეციალისტის	1	908

	(უმცროსი სპეციალისტი)	სპეციალისტი	თანამდებობა		

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 67-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

67	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	III კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	1	908

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 86-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

86	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	5	1331

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 87-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

87	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	2	1210

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე